სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 იანვარი, 2026 წ.

ბრძანება №01-02/04

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის №06-01/23 დადგენილების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2026 წ.) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 14 იანვრის №06-01/01 დადგენილების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 12 დეკემბრის №01-02/210 ბრძანების და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის №25789 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების ადმინისტრირების წესი“, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. „ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების ადმინისტრირების წესი“ ეცნობოს და დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტებს.
3. „ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების ადმინისტრირების წესი“ აისახოს პროფესიული სტუდენტის გზამკვლევში და განახლებული გზამკვლევი დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტებს.
4. წინამდებარე ბრძანება და წესი განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველებში („რექტორის აქტები; „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“; „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“).
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 15 იანვრის № 01-02/04 ბრძანების
№1 დანართი

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის
კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების ადმინისტრირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ“ ან ,,**დაწესებულება**“) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე (გათვალისწინებით).
2. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების (შემდგომში - მექანიზმები) მიზანია პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა, მათი კარიერული მხარდაჭერის ერთიანი მექანიზმის შემუშავება.
3. **ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების ადმინისტრირებას ძირითადად ახორციელებს ბსუ-ს** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - ,,ცენტრი“ ან ,,პროფესიული ცენტრი“), ბსუ-ს მართვის ორგანოების მხარდაჭერითა და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების (სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და სხვა სტრუქტურული ერთეულების) პერსონალის ჩართულობით (მონაწილეობით), მათი კომპეტენციების და ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა სერვისები

1. ბსუ პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს მათ საჭიროებაზე მორგებულ სერვისებს, როგორც სასწავლო პროცესის მხარდაჭერის, ისე ექსტრაკურიკულური აქტივობებისა და ღონისძიებების სახით.
2. ბსუ-ს მიერ პროფესიული სტუდენტებისათვის შეთავაზებული ყველა სერვისი ხელს უწყობს მათ პიროვნული, პროფესიული, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი უნარების განვითარებას.
3. ბსუ-ს მიერ პროფესიული სტუდენტებისათვის შეთავაზებული სერვისებია:

ა) მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფა;
ბ) პროფორიენტაციის აქტივობების განხორციელება და კონსულტირება;
გ) კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
დ) ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
ე) სასწავლო პროცესში მხარდაჭერა;
ვ) ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელება;
ზ) ექსტრაკურიკულური ინიციატივების განხორციელების მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ ინფორმირება

1. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ პროფესიული სტუდენტების და ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე სწავლით დაინტერესებული პირების ინფორმირების **მიზნით ბსუ-ს (დაწესებულების) მიერ ტარდება რეგულარული შეხვედრები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში** (სკოლებში), ორგანიზაციების ბენეფიციარებსა და სამუშაოს მაძიებლებთან, რაც ხელს უწყობს დაწესებულებისა და მისი პარტნიორი დამსაქმებლების მიერ შემოთავაზებული სწავლებისა და დასაქმების პირობების შესახებ ბსუ-ში განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების და შესაბამის პროფესიათა შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას (გავრცელებას).

2. პროფესიულ სტუდენტთა მიერ კარიერული ნაბიჯების წარმატებით გადადგმის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი რეგულარულად ახდენს ინფორმაციის მიწოდებას, რაც ხორციელდება ბსუ-ში პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტის მომართვის შემთხვევაშიც **(შენიშვნა:** ინფორმირება გულისხმობს პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის დასაქმების გზაზე გასავლელი ეტაპების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას).

მუხლი 4. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია

1. ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულების პარტნიორი კომპანიებისა და აღნიშნულ კომპანიათა მიერ შემოთავაზებული დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს **უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი**, რომელიც აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ქმნის და აწარმოებს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს (კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაციით).

2. შესაბამისი ვაკანსიების შესახებ ამ მუხლში აღნიშნული კომუნიკაცია (ინფორმირება) ხორციელდება:

ა) პროფესიულ სტუდენტების - ჯგუფური შეხვედრებისას ან სოციალური ქსელების/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

ბ) კურსდამთავრებულთა - ინდივიდუალურად სატელეფონო კომუნიკაციის (ან ელექტრონული ფოსტის) მეშვეობით.

3. პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ ჩატარდება მათი გამოკითხვა **(კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა).** კითხვარის მეშვეობით ხორციელდება შემდეგ საკითხთა მოკვლევა:

ა) დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული;

ბ) დასაქმდა თუ არა იმ სპეციალობით, რომელზეც ისწავლა ამ დაწესებულებაში;

გ) კმაყოფილია თუ არა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნით და უნარებით;
დ) იყენებს თუ არა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ ცოდნას და უნარებს სამუშაო პროცესში და ა.შ.
ე) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, **„კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის“** მეშვეობით მიღებულ მონაცემებს ამუშავებს, აკეთებს ანალიზს და წარმოადგენს სამსახურებრივ ბარათს, რომელიც დამუშავებისათვის გადაეცემა ცენტრს. ამის შემდეგაც ხორციელდება ცენტრის ინიცირებით შექმნილი **შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ინფორმირება,** შესაბამის რეკომენდაციათა შემუშავების მიზნით.
4. უნივერსიტეტი მუდმივ კომუნიკაციაშია დამსაქმებელთან, შესაბამისად, გარდა „კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევისა“, დაწესებულებაში ხორციელდება „**დამსაქმებელთა გამოკითხვა**“, რომლის მიზანია, განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება პროფესიული სტუდენტის მიერ გამომუშავებული პროფესიული უნარები დასაქმების სფეროს, საჭიროებენ თუ არა პროფესიული სტუდენტები დამატებითი პრაქტიკის გავლას, რამდენად შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა კომპეტენცია დამსაქმებელთა შესაბამისი პოზიციების მოთხოვნებთან, რამდენად საკმარისია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხანგრძლივობა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის და სხვა. „**დამსაქმებელთა გამოკითხვა**“ ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ და მისი შედეგების საფუძველზე ცენტრის ინიცირებით შექმნილი **შიდა მხარდაჭერის ჯგუფი** შეიმუშავებს რეკომენდაციებს, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 5. პროფესიულ სტუდენტთა აქტივობებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა

ბსუ-ში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა აქტივობებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა, რომლის **მიზნებია:**
ა) პროფესიული ორიენტაცია და კარიერული განვითარება (შეხვედრები პროფესიაში გამორჩეულ ადამიანებთან, ბიზნესმენებთან, ასოციაციებთან, ვიზიტები საწარმოებში და სხვა);
ბ) პიროვნული ინტერესების რეალიზაცია და განვითარება (შემოქმედებითი საღამოების, გამოფენების, სპექტაკლებისა და კონცერტების მოწყობა, სახელოვნებო, შემოქმედებითი, სპორტული კლუბების ორგანიზება და ღონისძიებების მოწყობა და სხვა);
გ) სოციალური ინტეგრაცია და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება (სოციალური პროექტები, ჰუმანიტარული აქციები, სხვადასხვა დღეების აღნიშვნა ან სხვა ფორმატში ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა, შეხვედრები ცნობილ/საინტერესო ადამიანებთან);
დ) დასვენება (ექსკურსიები და ტურები);
ე) მეწარმეობრივი კომპეტენციების განვითარება (ერთჯერადი ხასიათის სამეწარმეო აქტივობების, გამოფენა-გაყიდვების და სხვა სახის აქტივობების განხორციელება, რაც მიზნად ისახავს შემოსავლის მიღებას);

ვ) სხვა ნებისმიერი სახის ღონისძიების მოწყობა, რომელიც უკავშირდება პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

მუხლი 6. პროფესიულ სტუდენტთა აქტივობების ინიციატივების წარდგენის პროცედურა

1. პროფესიულ სტუდენტთა აქტივობების ინიცირება შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს, ინდივიდუალურად ან ერთობლივად, მათ საინიციატივო ჯგუფს.
2. პროფესიული სტუდენტთა აქტივობის/სტუდენტური ინიციატივის ავტორი ან საინიციატივო ჯგუფი (წარმომადგენელი) წარადგენს შევსებულ და ხელმოწერილ საინიციატივო განაცხადს, წინამდებარე წესის **№1 ფორმის** შესაბამისად. განაცხადის ფორმაში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:
ა) ინიციატორის/ საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის პირის სახელი, გვარი და სტატუსი;
ბ) საინიციატივო ჯგუფის შესახებ ინფორმაცია (უნდა მიეთითოს სხვა წევრების ვინაობაც), თუ ინიციატივა წარმოდგენილია ჯგუფის სახელით;
გ) ინიციატივის/აქტივობის მიზანი და შინაარსი;
დ) აქტივობის განხორციელების სავარაუდო ვადები/პერიოდი;
ე) საჭიროების შემთხვევაში, ინიციატივის შესახებ სხვა სახის ინფორმაცია.
3. შევსებული და ხელმოწერილი საინიციატივო განაცხადი შეიძლება წარდგენილი იქნეს **მატერიალურად** (ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით) **ან ელექტრონულად** (დაწესებულების ოფიციალური ელფოსტის ან განსაზღვრული სხვა ელექტრონული რესურსის მეშვეობით).
4. ამ მუხლით დადგენილი წესით წარდგენილი განაცხადი დარეგისტრირდება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.
5. ბსუ-ში არ არის შეზღუდული კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ინიციატივების რაოდენობა.
6. ინიციატივა **დასაშვებად მიიჩნევა** და მიეცემა განხილვისათვის მსვლელობა, თუკი:
ა) ინიციატივის განხორციელება საფრთხეს არ უქმნის სასწავლო პროცესს, ჩართული მხარეების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, უსაფრთხოებას ან ბსუ-ს რეპუტაციას;
ბ) არ ლახავს სხვა პირთა კანონიერ ინტერესებს, რომლებსაც პირდაპირ ან ირიბად შეეხება აქტივობა ან მისი შედეგები.

მუხლი 7. ინიციატივის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

1. პროფესიულ სტუდენტთა აქტივობის ინიციატივის **პირველად განხილვას** ახდენს ბსუ-ს პროფესიული ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრის დირექტორი,** მისი წარდგენიდან არაუგვიანეს **3 სამუშაო დღის ვადაში.**
2. ცენტრის დირექტორის ინიცირებით (განაცხადის შინაარსის გათვალისწინებით) შესაძლოა სტუდენტის ინიციატივის **პირველად განხილვაში** ჩაერთოს ცენტრის

ან/და დაწესებულების დასაქმებული, ასევე მოწვეული იქნეს ინიციატორი/საინიციატივო ჯგუფი.

3. ინიციატივის პირველადი განხილვის შემდეგ ცენტრის დირექტორი წარუდგენს ბსუ-ს რექტორს **დასაბუთებულ** სამსახურებრივ ბარათს შემდეგი გადაწყვეტილების მითითებით:

ა) ინიციატივის დაუშვებლად მიჩნევის/განუხილველად დატოვების თაობაზე;

ბ) ინიციატივის დასაშვებად მიჩნევისა და მისი დაკმაყოფილებისათვის გასატარებელი ღონისძიებების გეგმის შესახებ;

გ) ინიციატივის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (მიზანშეწონილობის, ფაქტობრივი/ობიექტური გარემოებების მითითებით).

4. ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა ბსუ-ს შესაბამის მართვის ორგანოს და სტრუქტურულ ერთეულს (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი და სხვა - შესასრულებელი/დასაგეგმი/განსახორციელებელი აქტივობის აღსრულებისათვის).

5. დასაშვებად მიჩნეული ინიციატივის განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების გეგმის შესრულების (აღსრულების) მიზნით ცენტრი, ბსუ-ს მართვის ორგანოებთან შეთანხმებით ამზადებს ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტს, რომლითაც განისაზღვრება შესასრულებელი აქტივობა (ებები), გასატარებელი ღონისძიებები და მათ აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირი (პირები).

6. **ცენტრის დირექტორი უზრუნველყოფს შეხვედრას ინიციატორთან/საინიციატივო ჯგუფთან, ინიციატივის დეტალების და საორგანიზაციო საკითხების დაზუსტების მიზნით** (მათ შორის ფინანსური, მატერიალური, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული საკითხები, საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ნებართვის მოპოვების საკითხები, ღონისძიების ორგანიზებაში ბსუ-ს შესაბამისის სამსახურების შეთანხმების საკითხის, აქტივობის განხორციელების თარიღების და სხვა საჭირო დეტალების დაზუსტების მიზნით).

7. ინიციატივის განხილვის ყველა ეტაპზე (პირველადი განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება) მიღებული გადაწყვეტილება და განხილვის შედეგები, ცენტრის დირექტორის დასაბუთებით, წერილობით უნდა ეცნობოს ინიციატორს, მიღებიდან **არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.**

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის
კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების

ფორმა №1

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის ინიციატივის წარდგენის განაცხადი

ინიციატივის წარმდგენის სახელი და გვარი	
ინიციატივის წარმდგენის სტატუსი (ინდივიდუალური/პროფესიულ სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის)	☐ **პროფესიული სტუდენტი** (ბსუ-ს შესაბამისი პროფესიული პროგრამის მითითებით)
	☐ პროფესიულ სტუდენტთა **საინიციატივო ჯგუფი** (ბსუ-ს შესაბამისი პროფესიული პროგრამის პროფ. სტუდენტის/ების მითითებით)
ინიციატივის წარდგენის პროცესში პროფესიული სტუდენტის სტატუსი (აქტიური/შეჩერებული)	
გთხოვთ განიხილოთ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის (სტუდენტების) საინიციატივო განაცხადი	
ინიციატივის მიზანი	
ინიციატივის შინაარსი	
განხორციელების სავარაუდო პერიოდი	
საჭირო რესურსები	
განხორციელების გეგმა	
დამატებითი ინფორმაცია	
განაცხადის წარმდგენის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მისამართი, ელფოსტა)	
განაცხადის წარმდგენის ხელმოწერა:	
განაცხადის წარდგენის თარიღი:	